

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„კოკა-კოლა იმერეთი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	7
4. ძირითადი საშუალებები	14
5. არამატერიალური აქტივი	15
6. ფულადი სახსრები.....	15
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	15
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	15
9. გადახდილი ავანსები	16
10. მოკლევადიანი სესხები.....	16
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
12. ამონაგები.....	16
13. თვითღირებულება	17
14. მიწოდების დანახარჯები.....	17
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი.....	17
16. ფინანსური ხარჯი/შემოსავალი	18
17. მოგება დაბეგვრამდე	18
18. საბალანსო ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	18
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	19

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31-12-2019	31-12-2018 (კორექტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	155,330	197,118
არამატერიალური აქტივები	5	4,101	4,609
გრძელვადიანი მოთხოვნები სესხი		-	100,000
		159,431	301,727
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	6	303,337	53,641
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	794,552	436,663
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	274,327	210,455
გადახდილი ავანსები	9	233,480	233,907
		1,605,696	934,666
მთლიანი აქტივები		1,765,127	1,236,393
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
დაუფარავი ზარალი		(386,096)	(547,592)
		(385,896)	(547,392)
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	155,071	100,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,995,952	1,682,273
საგადასახადო ვალდებულებები			1,512
		2,151,023	1,783,785
მთლიანი ვალდებულებები		2,151,023	1,783,785
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,765,127	1,236,393

ქართლოს კვიტივაძე
დირექტორი

ნინო მაისურაძე
ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31-12-2019	31-12-2018 (კორექტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	155,330	197,118
არამატერიალური აქტივები	5	4,101	4,609
გრძელვადიანი მოთხოვნები სესხი		-	100,000
		159,431	301,727
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	6	303,337	53,641
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	794,552	436,663
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	274,327	210,455
გადახდილი ავანსები	9	233,480	233,907
		1,605,696	934,666
მთლიანი აქტივები		1,765,127	1,236,393
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
დაუფარავი ზარალი		(386,096)	(547,592)
		(385,896)	(547,392)
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	155,071	100,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,995,952	1,682,273
საგადასახადო ვალდებულებები			1,512
		2,151,023	1,783,785
მთლიანი ვალდებულებები		2,151,023	1,783,785
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,765,127	1,236,393



Handwritten signature of Nino Maisuradze.

ნინო მაისურაძე
ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31-12-2019	31-12-2018 (კორექტირებული)
ამონაგები	12	17,273,449	15,725,136
თვითღირებულება	13	(15,583,668)	(14,072,876)
საერთო მოგება		1,689,781	1,652,260
მიწოდების დანახარჯები	14	(182,910)	(159,471)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(1,345,785)	(2,155,540)
საოპერაციო მოგება		161,086	(662,751)
ფინანსური შემოსავალი	16	410	10,530
მოგება დაბეგვრამდე	17	161,496	(652,221)
წმინდა მოგება		161,496	
წმინდა ზარალი			(652,221)
მთლიანი სრული შემოსავალი		161,496	(652,221)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	მოგება / ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	200	104,629	104,829
ზარალი		(558,965)	(558,965)
2018 წლის 31 დეკემბერი	200	(454,336)	(454,136)
კორექტირებით გამოწვეული		(93,256)	(93,256)
2018 წლის 31 დეკემბერი კორექტირებული	200	(547,592)	(547,392)
წმინდა მოგება		161,496	161,496
2019 წლის 31 დეკემბერი	200	(386,096)	(385,896)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31-12-2019	31-12-2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
შემოსავალი დებიტორული დავალიანები დაფარვიდან		19,802,125	19,007,030
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(18,584,710)	(17,532,611)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(757,651)	(1,153,736)
გადახდილი გადასახადები		(445,694)	(588,727)
სხვა შემოსულ ფულადი სახსრები		210	60
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		14,280	(267,985)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,377)	(22,496)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(2,377)	(22,496)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მოთხოვნის დაფარვა		100,000	-
საპროცენტო შემოსავალი		77,145	-
სესხის აღება		3,718,860	641,000
სესხის დაფარვა		(3,646,314)	(542,129)
საპროცენტო ხარჯი		(11,898)	(9,300)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		237,793	89,571
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტებისა ზრდა (კლება)		249,696	(200,910)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი		53,641	254,550
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი		303,337	53,641

1. ზოგადი ინფორმაცია

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „კოკა-კოლა იმერეთი“-სთვის შენიშვნა 2-ში მითითებული მომზადების საფუძვლის შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „კოკა-კოლა იმერეთი“ (შემდგომში „საწარმო“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში, მარეგისტრირებული ორგანო საოლქო საგადასახადო ინსპექცია ქ. ქუთაისი 05/04/2006 წელს, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: 445/021- შპს საიდენტიფიკაციო ნომერი - 212871230.

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს 100% წილის მფლობელი პარტნიორია საქართველოს მოქალაქე - ქართლოს კვითივაძე.

საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ამავდროულად არის საწარმოს მფლობელი პარტნიორი.

საწარმოს იურიდიული მისამართია, საქართველო, ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-5 ჩიხი N 6 ნაკვ. 2-4 . საწარმო საქმიანობას ახორციელებს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ იმერეთის და რაჭა- ლეჩხუმის რეგიონში.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად და გამოყენებულია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, რომლის მიხედვითაც მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღად არჩეულია 2018 წლის 01 იანვარი.

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს 2019 წლის 31 დეკემბრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას, ასევე შესაბამის განმარტებით შენიშვნებს და 2018 წლის შესადარის ინფორმაციას.

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად საწარმო იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთ ლარამდე სიზუსტით.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან, 2018 წლის 01 იანვრიდან. აღნიშნული ფინანსური ინფორმაცია მომზადდა შეძენის ფაქტიური ღირებულების საფუძველზე.

3.1 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

საწარმოს ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია:

ფულადი სახსრები - ფინანსური აქტივი;

სავაჭრო დებიტორული დავალიანება - ფინანსური აქტივი;

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება - ფინანსური ვალდებულება.

სასესხო ვალდებულებები - ფინანსური ვალდებულება.

3.1.1 თავდაპირველი აღიარება და შეფასება

როდესაც საწარმო გახდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე, იმ მომენტიდან წარმოებს ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების პირველად აღიარებისას, საწარმო მათ შეფასებას ახდენს გარიგების ფასით (**გარიგების დანახარჯების ჩათვლით**, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის, ან მისი სახელშეკრულებო კონტრაგენტისთვის. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების **დღევანდელი ღირებულებით**, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსე ინსტრუმენტისთვის გამოყენებული **საბაზრო საპროცენტო განაკვეთით** და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

3.1.2 ამორტიზებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის შემდგომი აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- (ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

3.1.3 თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების აღიარება და შეფასება

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ცალ-ცალკე აფასებს გაუფასურებას შემდეგი ფინანსური აქტივებისთვის:

- (ა) ყველა წილობრივი ინსტრუმენტი, მათი მნიშვნელობის მიუხედავად; და
- (ბ) სხვა ფინანსური აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია.

გაუფასურების ზარალის აღდგენა

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელი იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან (როგორცაა, მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), საწარმო უნდა აღადგინოს (უკუგატარებით) წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალი პირდაპირ, ან გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

3.1.4 ფინანსური აქტივის და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.2 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშზე არსებულ ფულად სახსრებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება გაყიდვიდან მისაღები თანხით. ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

საწარმოს ისტორიულად არ ჰქონია და არც საანგარიშგებო პერიოდში აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და დარიცხვას.

3.5 ბანკის სესხები და გარანტიები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების გამოკლებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

3.6 სასაქონლო- მატერიალური ფასეულობები

საწარმო მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს საქონლის გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო

მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

3.7 წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები ხორციელდება ფაქტიური ღირებულებით, ზარალის ანაზღაურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა აისახება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც საწარმომ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა საწარმოს. სხვა წინასწარი გადახდები გამოიქვითება მოგება-ზარალიდან, როდესაც ხდება წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს ინფორმაცია, რომ წინასწარ გადახდილი აქტივების, საქონელის ან მომსახურების მიღება არ მოხდება, შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი პერიოდები:

- მანქანა - დანადგარები - 3-5 წ
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 3-5 წ
- სატრანსპორტო საშუალებები - 5 წ
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 7 წ

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწვევისთანავე.

3.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე - პროგრამული უზრუნველყოფისათვის 10 წელი.

3.10 საწესდებო კაპიტალი

საწარმოს დადგენილი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება საწარმოს პარტნიორების მიერ და მასში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ საწარმოს პარტნიორების გადაწყვეტილებით.

3.11 ამონაგები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით,

ფასდათმობებისა და საგადასახადო კანონმდებლობით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

3.12 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებს.

3.13 დივიდენდები

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და პარტნიორთა გადაწყვეტილებებს.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებების სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ის გამოცხადდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების შენიშვნებში

3.14 იჯარა

საოპერაციო იჯარა. როდესაც საწარმო წარმოადგენს მოიჯარეს იჯარაში, რომელიც არ ახდენს საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და სარგებელის გადაცემას საწარმოსათვის მოიჯარის მხრიდან, მთლიანი იჯარის გადასახადი მიეკუთვნება წლიურ მოგებას ან ზარალს წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის პერიოდი წარმოადგენს არაგაუქმებად პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე ხელშეკრულებით ქირაობს აქტივს შემდგომი ვადით, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს არჩევანი გააგრძელოს აქტივის იჯარით ფლობა შემდგომი გადახდით ან გადახდის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყებისას ფაქტია, რომ მოიჯარე გამოიყენებს არჩევანს.

3.15 შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

საწარმო აკეთებს შეფასებებს და მოსაზრებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების მიმდინარე საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და გადაწყვეტილებები მუდმივად შეფასებულია და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც გონიერულია გარემოებების გათვალისწინებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე მიღებული გადაწყვეტილებები და შეფასებები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ აქტივების და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს:

მატერიალური აქტივების და არამატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდი.

მატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდის შეფასება წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მიღების საკითხს, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის ექსპლუატაციის პერიოდის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ, ფიზიკურ ცვეთას და გარემოებას, რომელშიც აქტივი მუშაობს. ცვლილებებმა ნებისმიერ ასეთ პირობებში ან შეფასებებში შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ამორტიზაციის ნორმების კორექტირება.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება ეფუძნება საწარმოს მიერ კონკრეტული კლიენტის ანგარიშგების ინდივიდუალურ შეფასებას. თუ საწარმო განსაზღვრავს, რომ არსებობს ობიექტური მტკიცებულება დებიტორული დავალიანების საკრედიტო რისკის მახასიათებლებით არსებული დებიტორის გაუფასურებისა, ის ასახავს გაუფასურების ზარალს.

3.16 ურთიერთდაკავშირებული მხარეები

ბალანსი და ტრანზაქციები ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან. მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთიერთდაკავშირებულნი არიან, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

3.17 შესადარისი ინფორმაციის კორექტირების გავლენა

2019 წლის შესადარისი 2018 წლის ინფორმაციაში დაშვებული იყო შეცდომა, კერძოდ თვითღირებულების დანახარჯებში არ იყო ასახული მარაგის ხარჯი 93,256 ლარის ოდენობით, შესაბამისად მარაგი ბალანსში წარმოდგენილი იყო ამ თანხით გადიდებული ოდენობით. საწარმოს ხელმძღვანელობამ მართებულად ჩათვალა აღნიშნული შეცდომის გასწორება, რომელიც განხორციელდა რეტროსპექტული მიდგომით. კორექტირების შედეგი წარმოდგენილია ქვემოთ:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
	31 დეკემბერი 2018 კორექტირებამდე	31 დეკემბერი 2018 კორექტირება	31 დეკემბერი 2018 კორექტირებული
აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	303,711	(93,256)	210,455
	1,027,922	(93,256)	934,666
მთლიანი აქტივები	1,329,649	(93,256)	1,236,393
მთლიანი კაპიტალი			
დაუფარავი ზარალი	(454,336)	(93,256)	(547,592)
	(454,136)	(93,256)	(547,392)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2018 წელი კორექტირებამდე	31 დეკემბერი 2018 კორექტირება	31 დეკემბერი 2018 წელი კორექტირებული
თვითღირებულება	(13,979,620)	(93,256)	(14,072,876)
საერთო მოგება	1,745,516	(93,256)	1,652,259
საოპერაციო მოგება	(569,495)	(93,256)	(662,751)
მოგება დაბეგვრამდე	(558,965)	(93,256)	(652,221)
სხვა სრული შემოსავალი:	(558,965)	(93,256)	(652,221)
მთლიანი სრული შემოსავალი	(558,965)	(93,256)	(652,221)

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების 2019 წლის საბალანსო ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
საწყისი ღირებულება					
31 დეკემბერი 2018 წელი	3,946	32,712	163,542	97,777	297,977
შემოსვლა	801	1,214	-	11,488	13,503
31 დეკემბერი 2019 წელი	4,747	33,926	163,542	109,265	311,480
ცვეთა					
31 დეკემბერი 2018 წელი	(874)	(6,469)	(43,809)	(49,707)	(100,859)
პერიოდის ცვეთა	(834)	(6,647)	(32,200)	(15,610)	(55,290)
31 დეკემბერი 2019 წელი	(1,708)	(13,116)	(76,009)	(65,317)	(156,150)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2018 წელი	3,072	26,243	119,733	48,070	197,118
31 დეკემბერი 2019 წელი	3,039	20,810	87,533	43,948	155,330

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

5. არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივების 2019 და 2018 წლის საბალანსო ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა არამატერიალური აქტივები
საწყისი ღირებულება	
31 დეკემბერი 2018	5,074
შემოსავალი	-
31 დეკემბერი 2019	5,074
ცვთა და გაუფასურება	
31 დეკემბერი 2018	(465)
პერიოდის ამორტიზაცია	(508)
31 დეკემბერი 2019	(973)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2018	4,609
31 დეკემბერი 2019	4,101

საწარმოს შეძენილი აქვს საბუღალტრო პროგრამა „ორისი“ და სადისტრიბუციო პროგრამა “FMG“ დისტრიბუცია, რომელიც აღრიცხული აქვს სხვა არამატერიალური აქტივების ჯგუფში. საწყისი აღიარების შემდგომ საწარმო მის შეფასებას ახდენს თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. მომსახურების ვადა განსაზღვრულია 10 წელი.

6. ფულადი სახსრები

საწარმოს ფულადი სახსრები გააჩნია ეროვნულ ვალუტაში. სალაროს და საბანკო ანგარიშების ნაშთები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგია:

	2019	2018
ნაღდი ფული სალაროში	293,226	4,305
ფული საბანკო ანგარიშებზე	10,111	49,336
სულ	303,337	53,641

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	943,952	524,747
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(154,899)	(152,921)
სხვა მიმდინარე აქტივები	5,499	-
საპროცენტო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან	-	64,837
სულ	794,552	436,663

საწარმო საექვო ვალების დარეზერვებას ახორციელებს მოთხოვნების ინდივიდუალური შეფასების მეთოდით.

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმოს 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
საქონელი	274,327	210,445
სულ	274,327	210,445

საწარმო მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას. მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 15 583 668 ლარი.

9. გადახდილი ავანსები

საწარმოს 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
პროდუქციის მომწოდებელზე გადახდილი ავანსი	233,480	233,480
სხვა გადახდილი ავანსი	-	427
სულ	233,480	233,907

10. მოკლევადიანი სესხები

საწარმოს 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოკლევადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
მოკლევადიანი სესხი	155,071	100,000
სულ	155,071	100,000

მოკლევადიანი სესხი წარმოდგენილია:

1. საკრედიტო ხაზით, რომელიც მიღებულია ს.ს. “თიბისი ბანკი“-სგან შემდეგი პირობებით: სესხის ვალუტა ლარი, წლიური საპროცენტო განაკვეთი 11 %, გაცემის თარიღი 2019 წლის 23 ოქტომბერი, დაფარვის თარიღი 2020 წლის 26 ოქტომბერი.
2. ოვერდრაფტი, რომელიც მიღებულია ს.ს. “თიბისი ბანკი“-სგან პირობებით: სესხის ვალუტა ლარი, ოვერდრაფტის ლიმიტი 35 000 ლარი, წლიური საპროცენტო განაკვეთი 20 %.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,966,407	1,651,082
გადასახდელი ხელფასები	29,545	31,191
სულ	1,995,952	1,682,273

12. ამონაგები

საწარმოს ამონაგები მოიცავს უალკოჰოლო სასმელებისა და სარეკლამო საქონლის რეალიზაციას. 2019 და 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდში მთლიანმა ამონაგებმა რეალიზაციიდან შეადგინა:

	2019	2018
შემოსავალი პროდუქციის რეალიზიციიდან	17,186,275	15,496,600
შემოსავალი უსასყიდლო პროდუქციის რეალიზაციიდან	87,174	228,536
სულ	17,273,449	15,725,136

13. თვითღირებულება

საწარმო თვითღირებულებით საქონლის ჩამოწერას აღრიცხავს საშუალო შეწონილი მეთოდის ფორმულით. თვითღირებულება მოიცავს საქონლის შეძენის და ტრანსპორტირების ღირებულებას.

	2019	2018
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15,583,668	14,072,876
სულ	15,583,668	14,072,876

14. მიწოდების დანახარჯები

საწარმო 2019 და 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდში მიწოდების დანახარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
საწვავი	121,968	100,733
ავტომანქანის მიმდინარე რემონტი	36,947	50,913
ატომანქანის იჯარა	19,178	7,797
სხვა საერთო ხარჯი	4,817	28
სულ	(182,910)	(159,471)

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	745,677	755,744
დაკავშირებულ მხარისთვის გადახდილი ხელფასები (შენიშვნა 18)	216,084	690,000
საიჯარო ხარჯი დაკავშირებულ მხარესთან (შენიშვნა 18)	136,373	132,203
საოფისე და სამეურნეო ხარჯი	-	10,432
კომუნალური ხარჯები	6,975	6,559
ძირითადი საშუალებების ცვეთა	55,798	53,256
რეკლამის ხარჯი	31,368	24,585
ბანკის საკომისიოს ხარჯი	1,360	967
საწვავის ხარჯი	-	2,148
საკანცელარიო ხარჯი	4,369	5,411
ექსკლუზიური მომსახურების ხარჯი	-	2,141
დაცვის ხარჯი	16,271	15,000
საექვო ვალების რეზერვი	1,978	152,921
უსასყიდლო მიწოდების ხარჯი	94,507	302,544
სხვა საერთო ხარჯი	35,025	1,629
სულ	(1,345,785)	(2,155,540)

16. ფინანსური ხარჯი/შემოსავალი

ფინანსური ხარჯი/შემოსავალი წმინდა 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის სახით.

17. მოგება დაბეგრამდე

საწარმო იზრდება მნიშვნელოვნად, ვითარდება სტაბილურად და ელოდება მოგების მიღებას მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებშიც, შესაბამისად მას ფუნქციონირებადობის პრობლემა არ გააჩნია.

18. საბალანსო ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები, შემოსავალი და ხარჯი ურთერთდაკავშირებულ მხარეებთან 2019 და 2018 წლის განმავლობაში არის შემდეგი:

2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები შემდეგია:

	სხვა დაკავშირებული მხარეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სულ
ხელფასები და სხვა ანაზღაურებები			
ხელფასი	156,084	60,000	216,084
იჯარა	132,203	-	132,203

2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები შემდეგია:

	ხელმძღვანელობა
ურთერთდაკავშირებული მხარეებიდან მოსათხოვი თანხები	164 837
გრძელვადიანი სესხი	100 000
დარიცხული პროცენტი	64 837
ურთერთდაკავშირებული მხარეებისათვის გადასახდელი თანხები	3 810
გადასახდელი ხელფასი	3810

ტრანზაქციები, შემოსავალი და ხარჯი ურთერთდაკავშირებულ მხარეებთან 2018 წლის განმავლობაში არის შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეები	ხელმძღვანელობა	სულ
ხელფასები და სხვა ანაზღაურებები	162 203	660 000	822 203
ხელფასი	30 000	660 000	690 000
იჯარა	132 203	-	132 203

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები ეკონომიკურ საქმიანობებზე მრავალ სექტორში.

კორონავირუსის ეფექტი, ფასს-ების შესაბამისად, არის არამაკორექტირებელი მოვლენა და აქედან გამომდინარე 2019 წლის 31 დეკემბრის ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული პროგნოზები და შესაბამისი დაშვებები არ განიცდის ცვლილებას კორონავირუსთან დაკავშირებით.

საწარმოზე COVID19-ის შესაძლო გავლენის დაზუსტებით განსაზღვრა შეუძლებელია, თუმცა კომპანიამ გაანალიზა ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღიდან ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე ფაქტობრივი შედეგები. კომპანიამ ასევე გაანალიზა საპროგნოზო ფულადი ნაკადები მომავალი 3-9 და 12 თვიან პერიოდზე და შედეგად ხელმძღვანელობა არ მოელის არსებით უარყოფით ეფექტს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებართულია 2020 წლის 29 სექტემბერს.